დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის გიორგი ონიანის

2023-2024 წლის ანგარიში

- **საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია**

2024 წლის 8 თებერვალს დავტოვე ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" და საქმიანობა განვაგრძე დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით.

'რუსული კანონის' მიღებამდე ვესწრებოდი საკრებულოს ყველა სხდომას ასევე ვესწრებოდი იურიდიული და სარევიზიო კომისიის სხდომებს

ბევრ სხვა ინიციტივასთან ერთად რამდენჯერმე დავაყენე ინიციატივა

რუსეთ-უკრაინის ომში რუსების მიერ მოკლული ქართველი მებრძოლებისათვის თბილისში გამოყოფილიყო სკვერი დადგმულიყო მემორიალი და დარქმეოდა ამ მებრძოლების სახელი. აღნუშნული საკითხი ასევე დავაყენე სხდომაზე რომელსაც ესწრებოდა ქალაქ თბილისი მერი კახი კალაძე და მიუხედავათ იმისა რომ თითქოსდა მან განაცხადა თანხმობა დღემდე შედეგი არ დამდგარა.
ბიუჯეტის განხილვის დროს დეტალურად ვისაუბრე თუ რამდენად ამორალურია უფასო კვების ბენეფიციარებისთვის 5 ლარზე ქვევით დღიური ულუფის განსაზღვრა მილიარდობით ბიუჯეტის ქონის პირობებში.
საკრებულოს სხდომებზე არაერთხელ დავსვი თბილისისი ქაოტური განაშენიანების საკითხი და მისი მძიმე შედეგების შესახებ ვისაუბრე.
ყოველივე ზემოაღნიშნულის და ბევრი სხვა ინიციატივის გარდა გამოსვლის პოლიტიკურ ნაწილში არაერთხელ დავაფიქსირე ჩვენი ხელისუფლების პრორუსულობა არაკვალიფიციურობა და მიდრეკილება კორუფციისადმი.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლების მიერ მიღებული იქნა “რუსული კანონი”, ვისარგებლე რა მონიჭებული უფლებით, პოლიტიკური შეხედულების გამო უარი განვაცხადე და არ დავსწრებივარ საკრებულოსა და კომისიების არცერთ სხდომას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ყოველ ჯერზე ვგზავნიდი შემდეგი შინაარსის წერილს:

“ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ფონზე, როცა ხელისუფლებამ ყველა წითელი ხაზი გადაკვეთა, როცა ქვეყნის ევროპული კურსი, წარმატებული მომავლის პერსპექტივა საფრთხეში ჩააგდო, არაერთგზის სასტიკად დაარბია მშვიდობიანი დემონსტრანტები, აგრძელებს ძალადობრივი ჯგუფების წახალისებას, რომლებიც ქუჩაში უსწორდებიან ოპოზიციონერ პოლიტიკოსებსა და აქტივისტებს, გრძელდება პოლიტიკური მართლმსაჯულების პროცესები, როცა ხელისუფლება არაფრად აგდებს მეგობარი სახელმწიფოების, მათი ლიდერებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, მეტიც, მათ მტრის ხატად წარმოაჩენს, როცა ღიად დაირღვა ქვეყნის კონსტიტუცია, მიღებულ იქნა რუსული

კანონი, ფეხქვეშ გაითელა ქართველი ხალხის ურყევი ნება, ამავე დროს თავისი არსით ყველაზე ევროპული ქალაქის, თბილისის მერი გამოკვეთილად ანტიევროპული, პროპაგანდისტული და მავნებლური განცხადებებით არის დაკავებული, გაცნობებთ, რომ ვაგრძელებ პროტესტს და პოლიტიკური შეხედულების გამო უარს ვაცხადებ 4 ოქტომბერს საკრებულოსა და კომისიის სხდომაზე საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღებაზე".

პატივისცემით გიორგი ონიანი